



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

ლაბეჭინა

ლაბეჭინა, შეა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ის სოფ. ჭყვიშის მიდამოებში, მაღალი მთის ქედზე. მიწისძვრისგან დაქცეული ეკლესია XIII-XIV სს. გაბრიელ ლაბეჭინელის თაოსნობით ხელმეორედ აუგიათ და მოუხატავთ. ეკლესია დარბაზულია. ნაშენია თლილი ქვით. შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს სამკუთხა ნიშებია. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს - სამხრიდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორი წყვილი პილასტრით. ეკლესიას მინაშენები ჰქონია, რ-ებიც ამჟამად მიწის პირამდეა დანგრეული. ნაგებობაში ჩანს როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი სამშენებლო ფენები. ეკლესია უხვად არის შემკული ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, რელიეფებითა და ასომთავრული ნარწერებით. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული არიან „ივანე და გაბრიელ გალატოზი“. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიაში ინახებოდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის XI ს. ჭედური ხატები (დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში) და სხვ.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე ი.,
ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ლ ., ლეჩებუმი, თბ., 1983;
ბ ო ჭ ო რ ი ძ ე გ ., რაჭა-ლეჩებუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994;
თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე ., ლაბეჭინის ეკლესიის სახარება, „პრომეთე“, 1918, #1;
მ ი ს ი ვ ე , არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩებუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937;
ს ი ლ ო გ ა ვ ა ვ ., ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980; ფ რ უ ი ძ ე ლ .,
სოფელი ლაბეჭინა და ლაბეჭინის მონასტერი, თბ., 2003.

